N266 2015 წლის 25 ივნისი ქ. თბილისი

„სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოსთან არსებული საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეპტუალური დოკუმენტების შემუშავების მაკოორდინირებელი მუდმივმოქმედი უწყებათაშორისი კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2015 წლის 19 თებერვლის №56 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, „სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოსთან არსებული საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეპტუალური დოკუმენტების შემუშავების მაკოორდინირებელი მუდმივმოქმედი უწყებათაშორისი კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2015 წლის 19 თებერვლის №56 ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის გათვალისწინებითა და „სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოსთან არსებული საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეპტუალური დოკუმენტების შემუშავების მაკოორდინირებელი მუდმივმოქმედი უწყებათაშორისი კომისიის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 11 ივნისის №392 დადგენილების პირველი მუხლისა და ამავე დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოსთან არსებული საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეპტუალური დოკუმენტების შემუშავების მაკოორდინირებელი მუდმივმოქმედი უწყებათაშორისი კომისიის შემდეგი პერსონალური შემადგენლობა:

მინდია ჯანელიძე - საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანაშემწე სახელმწიფო უსაფრთხოების საკითხებში - სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს მდივანი, კომისიის თავმჯდომარე;

გიორგი ზედელაშვილი - საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანაშემწის სახელმწიფო უსაფრთხოების საკითხებში - სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს მდივნის პირველი მოადგილე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

არჩილ თალაკვაძე - საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, კომისიის წევრი;

დავით დონდუა - საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე, კომისიის წევრი;

ბესიკ ლოლაძე - საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე, კომისიის წევრი;

ალექსანდრე ტაბატაძე - საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე, კომისიის წევრი;

გიორგი თაბუაშვილი - საქართველოს ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე, კომისიის წევრი;

შალვა ლომიძე - საქართველოს დაზვერვის სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე, კომისიის წევრი;

გიორგი ტიელიძე - სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატის შიდა უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დეპარტამენტის უფროსი მრჩეველი, კომისიის მდივანი.“.

ირაკლი ღარიბაშვილი